

## დევი ბერძენიშვილის ნაშრომების ეთნოლოგიური ასპექტები

დევი ბერძენიშვილი იმ მეცნიერებს განეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ თავისი ვიწრო სპეციალობით არ იფარგლებიან და სხვა სამეცნიერო დარგების სასიკეთოდაც იღწევიან. დევი თავისი დარგის შესანიშნავი სპეციალისტი იყო და მისი ნაშრომები ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. თუნდაც იმიტომ, რომ ამა თუ იმ ეთნოსის, ეთნიკური თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის ტრადიციული კულტურის პრობლემებზე მომუშავე ეთნოლოგი ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების გარეშე ფონს ვერ გავა.

უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხო დევი ბერძენიშვილის მიერ განხილულ ქვემო და ზემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური გეოგრაფიის საკითხებს [ბერძენიშვილი დ., 1973; ბერძენიშვილი დ., 1985]. მოგეხსენებათ, რომ ეთნიკური ისტორია ეთნოლოგთა კვლევის სფეროშიც შედის. დევის სულ რამდენიმე გვერდზე არქეოლოგიური მასალის, ისტორიული წყაროების თუ ენათმეცნიერული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოკლედ და ნათლად აქვს გადმოცემული ამ მხარეებში სხვადასხვა დროს მოსახლე ეთნიკური ჯგუფების განსახლების ისტორია უძველესი დროიდან თითქმის მე-19 საუკუნემდე. ახსნილი აქვს მათი დამკვიდრების, მიგრაციისა თუ დემოგრაფიული ცვლილებების მიზეზები - ისტორიული კატაკლიზმები იქნება ეს თუ სხვა. მაგ., ქვემო ქართლის მოსახლეობის შემცირებას მონღოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის შემოსევების შედეგად, იგი 1424 წლის ჟამის (შავი ჭირის) ეპიდემიასაც უკავშირებს. იგი წერს: "მონღოლთა ბატონობისა და თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევების გამო ქვემო ქართლის მოსახლეობა ძლიერ უნდა შემცირებულიყო; ამას ზედ დაერთო სასტიკი ჟამიანობა, რომელიც 1424 წ. მძვინვარებდა" [ბერძენიშვილი დ., 1979: 107]. ეს მეტად საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ, დაავადებათა გავრცელების, ეპიდემიების ფაქტორს ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ არა აქვს დათმობილი სათანადო ყურადღება.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დევი ბერძენიშვილის ნაშრომის ის ნაწილები, რომლებიც მის მიერ შესწავლილი რეგიონების ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიას ეხება. დასახლების, მეურნეობის ტრადიციული ფორმების მისეული ანალიზი, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით, ნებისმიერ ეთნოლოგიურ ნაშრომს დაამშვენებდა. როდესაც დევი ჯავახეთის ისტორიულ - გეოგრაფიას განიხილავს წერს: "ეს ხეობები უმეტესწილად კლდოვანია და ხანმოკლე მზიანობის დროსაც კი საკმაოდ ცხელია. ამიტომაც ჯავახური სოფლების ბაღები სულ

ასეთ ხევებში, სადაც შესანიშნავად გამოუყენებიათ ტერასული მეურნეობა, მიწათმოქმედების მაღალი და ინტენსიური ფორმა.

ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება ჯავახი სოფლელების მიდრეკილება ხევის პირას, ზეგანზე აირჩიონ საცხოვრებელი, სადაც ერთნაირად კარგი პირობებია მემინდვრე, მესაქონლე და მეზღვე გლეხისთვის. სწორედ ხევისპირა ზეგანზე იყო ჯავახეთის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი: კუმურდო, სარო, ხიზაბავრა, კვარშა, ხანდო, ჩუნჩხა, პრტენა, ახალქალაქი და მრავალი სხვა” [ბერძენიშვილი დ., 1985: 72]. აქვე იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ჯავახეთის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს: წამყვან მესაქონლეობას, მემინდვრეობას, ტერასულ მევენახეობას, სელის ზეთის წარმოებას. ლაპარაკობს თუთისა და მისგან დამზადებული პროდუქტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ჯავახელთა ყოფა-ცხოვრებაში და სხვა.

თორის ეკონომიკური გეოგრაფიის დახასიათებისას კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტყის მეურნეობას: ”ტყე და ტყის პროდუქტები უდიდეს როლს თამაშობდნენ ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის და მით უფრო ძველად. სააღმშენებლო მასალა, სითბო და სინათლე საცხოვრებელში, სამუშაო იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საგნები (ლასტი, გოდორი, კალათი), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საკვების დიდი ნაწილი (ნანადირევი, ტყის ხილი: პანტა, თხილი, შინდი, მოცვი, წაბლი ზღმარტლი), ყველაფერი ეს თორში ტყეებთან იყო დაკავშირებული. იგივე იყო მისი უპირატესობა ტყით ღარიბ ჯავახეთთან და უტყეო თრიალეთთან შედარებით. სხვა მიზეზებთან ერთად ასეთი მეზობლობა ამ პროვინციების ურთიერთდამოკიდებულებას აღრმავებდა” [ბერძენიშვილი დ., 1987: 9], დევი გარდა იმისა, რომ ტყის როლს განსაზღვრავს თორელი მოსახლეობის ცხოვრებაში, მას გარკვეულ სოციალურ მნიშვნელობასაც ანიჭებს, როდესაც მეზობელი პროვინციების მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად განიხილავს.

შესანიშნავ ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ გზამკვლევაში - ”ჯავახეთი”, რომლის ტექსტის ძირითადი, ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი დევი ბერძენიშვილს ეკუთვნის, ეთნოგრაფია ჭარბად არის წარმოდგენილი. ქვემოთ მოყვანილი ციტატიდან კარგად ჩანს, რომ დევის კვლევის ერთ-ერთი წყარო ეთნოგრაფიული მონაცემები იყო. ”ეთნოგრაფიულად დადასტირებულია”, წერს იგი ”რომ თუ ვისმე ცხვარი მრავლად ჰყავდა აიყვანდა ხოლმე მწყემსს, რომელსაც წლიურ ჯამაგირს უხდიდა: 20 ცხვარში ერთ ბატკანს, ერთ ფუთ პურს, ერთ წყვილ ქალამანსა და ქეჩა-ნაზადს. ეკლესიის მშენებლობის დროს მეცხვარე ვერძს შესწირავდა. მას კალატოხები დაკლავდნენ და შეჭამდნენ, შემდეგ ვერძს გამოაქანდაკებდნენ და ეკლესიის კედელში ჩააყოლებდნენ, რომ მეცხვარეს ცხვარიგამრ ავლებოდა” [ბერძენიშვილი დ., 2000: 7]. მხოლოდ ეს პატარა ამონარიდიც კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ჯავახთა ტრადიციულ მეურნეობაზე და მათ წეს-ჩვეულებებზე.

დევის ანალიზი ამა თუ იმ რეგიონსთვის დამახასიათებელ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური გეოგრაფიის და ტრადიციული სამეურნეო დარგებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და სავსებით პასუხობს დღეს სოციოკულტურული ანთროპოლოგიის, რომლიც დასავლეთში უმეტესწილად ეთნოლოგიურ მეცნიერებას გულისხმობს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ეკონომიკურ ანთროპოლოგიას. ეკონომიკური ანთროპოლოგიის კვლევის სფერო ამა თუ იმ ეთნოსის, სუბეთნოსისა თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის ტრადიციული ეკონომიკის, ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობის შეისწავლასაც მოიცავს.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ორი პატარა წიგნი "ლექსუმი" და "გუჯარეთი", რომელთა ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი დევის მიერ არის დაწერილი და რომლებშიც ამ კუთხეების ისტორიულ-გეოგრაფიასთან ერთად, ეთნოგრაფიული აღწერილობაც არის მოცემული. მაგ. აღწერილობა ხვამლის მთის და მასზე აღმართული წმინდა გიორგის სალოცავის და ხვამლობის დღესასწაულისა - "ხვამლობა 20/VII იმართებოდა, ეს დიდი ხატობა იყო, სადაც მიდიოდნენ ყოველი მხრიდან, ლოცულობდნენ მოსავლისთვის, ხვამლს ევედრებოდნენ გვალვისა და სეტყვისაგან მფარველობას; ამბობდნენ - ვისაც ხვამლი სწყალობს, მისი ბედელი არ დაიცლებათ. ხვამლობისათვის გლეხებს შეწირული ჰქონდათ კაკლის ხე. პატრონი მას არ ჭრიდა, მისი ნაყოფით არც ოჯახში სარგებლობდა და არც ჰყიდდა: სჯეროდათ - თუ ვინმე შეჭამდა, ბავშვს ხველას დააწყებინებდა. ამ დღეს, სახვამლო კაკლის ხის ქვეშ სუფრაზე ნიგვზიან ქადას, ხმიადს, ღვინოსა და შემწვარ ქათამს მიიტანდნენ" [ბერძენიშვილი დ., და სხვ., 1983: 43-44].

განსაკუთრებით საინტერესოა დევის მიერ ტოპონიმების ეტიმოლოგიის განსაზღვრა ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, თუმცა ასეთი მის ნაშრომებში მრავალია. "სამშენებლო ხის დამზადებას (თორში ნ.მ.) ხელს უწყობდა ნაძვისა და სოჭის დიდი რაოდენობა. მოჭრილ ხეებს მაღალი ციცაბო ფერდებიდან სვენების საშუალებით დაბლობისაკენ აცურებდნენ. თორში სვენებს უწოდებენ ხის დასაცურებელ კვლებს მთის დამრეც კალთებზე. იგი გავრცელებულია გუჯარეთის ტოპონიმიაშიც, მაგ "სვნისძირი" წაღვერთან და სხვ." [ გუჯარეთი, 1987: 4].

დევი ბერძენიშვილის ნაშრომები საინტერესოა ისტორიული ეთნოლოგიის თვალსაზრისით. იგი ყოველთვის ცდილობს, თუ ისტორიული წყარო ამის საშუალებას აძლევს, საქართველოს მოსახლეობის ტრადიციული ყოფის ამსახველი ესა თუ ის მხარე წარმოაჩინოს. ამ კუთხით საინტერესოა მისი სტატია, "თრიალეთის უცნობი წარწერები", რომელშიც იგი "საღვინე სახლის" საკითხსაც ეხება. ისტორიული წყაროების ანალიზისა და ეთნოლოგ ანდრო ლეკიაშვილის კვლევაზე დაყრდნობით, იგი საღვინე სახლს არა მხოლოდ მარნის მნიშვნელობით განიხილავს, არამედ "ძველთაგან მომდინარე ტრადიციით მამაკაცების დროსტარების, ლხინის ადგილად"[ლეკიაშვილი ა., 1980:144]. და თვლის, რომ ქართველ მეფეებს არაერთი "საღვინე სახლი" ჰქონდათ,

”საფიქრებელია”, წერს დევი, ”საღვინე მეფეს ერთი არ ექნებოდა. მას რამდენიმე საზამთრო და საზაფხულო სადგომი ჰქონდა. ბუნებრივია ყველას თავისი საღვინე უნდა ჰქონოდა, ისევე, როგორც ბეღელი, სამზარეულო საჯინიბო და სხვ.” [ბერძენიშვილი დ., 2005:83]. იმავე სტატიაში, ისტორიული წყაროების საფუძველზე, იგი ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის მთის სოფლებში ღვინის დაყენების ტრადიციის შესახებ, ტკბილის დაღვინების მეთოდით: ”თბილისის ირგვლივ კოჯორი უმაღლესი წერტილია. ამიტომ აქ ტკბილის დაღვინება ისეთივე შედეგს იძლეოდა, ალბათ თრიალეთთან დაკავშირებით, რომ აღწერს ვახუშტი” [ბერძენიშვილი დ., 2005: 83].

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მთიანეთის სოფლებში ტკბილით ღვინის დაყენების წესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება. რაჭის მაგალითზე ეთნოლოგი ანდრო ლეკიაშვილი წერს: ”რაჭველ მთიელთ მეზობელ იმერეთის სოფლებში აქვე ვენახი. ყურძენს იქვე ვენახში წურავენ, ხოლო ტკბილი სოფელში მიაქვთ და იქ მარნებში აყენებენ ღვინოს” [ლეკიაშვილი ა. 1972: 54]

დაბოლოს, დევის უკანასკნელი ჩანაწერები, რომლებიც 2009 წელს დღიურების სახით გამოაქვეყნეს მისმა მეგობრებმა სახელწოდებით - ”ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე”. დევის არტაანში სოფელ ოლჩეკთან ე.წ. ”ზიარათი” დაუდასტურებია: ”სოფლისკენ გამოწეულ ქიმზე აგებულია ”ზიარათი” წერს იგი, ”ეს სიტყვა ამათთან ჩვეულებრივ თაყვანსაცემ ადგილს ნიშნავს...”

ავედით და დაგვხვდა სრულიად მშრალი წყობის ოთხკუთხა ნაგებობა... ესაა წინარექრისტიანული ნაგებობა. ალბათ თავდასაცავი, რომელიც იქნებ, სალოცავადაც იყო გამოიზნული... ამ ”ზიარათში” ადგილობრივი მოსახლე შუა ხნის ქალი იჯდა და ქსოვდა. ჩამოსვლისას კი, მეორე მოხუცი ქალი შემოგვხვდა, რომელიც ფეხსაცმლის გარეშე, წინდებით მიცოცავდა ბილიკზე... განსაკუთრებულ შემთხვევებში ქართველებიც ფეხშიშველი მიდიოდნენ ეკლესიამდე ( თამარი ვარძიაში, ბასიანის ომის წინ მლოცვლი)” [ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბ. 2009. გვ.107].

შემდეგ დევი სვამს კითხვას: ”რას ნიშნავს მაჰმადიანთა ეს მოწიწება წინარექრისტიანული ნაგებობის წინაშე, რატომ შეარქვეს მას ”ზიარათი”. ამ სახელით ხომ ისინი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებსაც, საერთოდ სალოცავსაც იხსენიებენ” [ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბ. 2009. გვ.107].

ზიარეთში მისვლა, ე.წ. სამუსულმანო საქართველოში, ასევე აჭარაში დადასტურებული ტრადიციაა [ნიჟარაძე შ., 1971: 199]. რომელიც, უმეტესწილად ავადმყოფების, უშვილოების ან მათი პატრონების სალოცავში ღამითევას გულისხმობს. ნ მარის ცნობით, მომლოცველები (თეთრაქედელი მუსლიმები) იძინებდნენ და სიზმარში ნახულობდნენ თუ რა შესაწირავი უნდა შეეწირათ სალოცავისთვის [Mapp H, 1904: 79). მარის ცნობაზე დაყრდნობით ექვთიმე თაყაიშვილი ეხება ”ზიარეთი“-ის საკითხს და აღნიშნავს, რომ ზიარეთია იქ, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევები ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა

ადგილებიდან, ნამეტნავად ქალები. მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს. თუ შორიდან მოსული არიან, უფრო მეტსაც. და ამათ უნდა დაესიზმროთ ღამით, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ: ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი; და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე.. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას” აქვე აღნიშნავს, რომ მოლები ამას ”უშლიანო”. [თაყაიშვილი ექვთ., 1991:220].

ამ საკითხს შემდეგაც ეხებიან მეცნიერები [იხ.ბერიძე მ., გუჯეჯიანი რ., ” 2010: 175-179]. ”ზიარეთი” უმეტესწილად ქრისტიანულ სალოცავ ადგილს ან მის ნანგრევს წარმოადგენს, ამიტომ იქ სალოცავად მისვლა და ღამის თევა ქრისტიანული ტრადიციის ანარეკლად არის მიჩნეული სამუსლიმანო საქართველოსა თუ აჭარაში.

ამ ტრადიციაში ყურადღებას იპყრობს, სიზმრის საშუალებით შესაწირავის შერჩევის წესი. რაც სიზმრით ”ნათელხილვის” ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. სალოცავებში მავედრებელთა ღამისთევა სიზმარში ”ნათელხილვის” მიზნით ქრისტიანულ სამყაროში არ იყო გავრცელებული. ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ სამყაროში კი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი. ეს რიტუალი საბერძნეთში უმეტესად აპოლონისა და ასკლეპიოსის ტაძრებში ტარდებოდა. მაგ., დელფოს ცნობილ სამისნოში. ამ ტაძრებში ავადმყოფები სპეციალურად ათევდნენ ღამეს, სიზმარში სამკურნალო საშუალების ხილვის მიზნით. ამგვარად ხომ არ არის ”ზიარეთში” ღამის თევა წინარექრისტიანული ხანის ტრადიცია? ამ მოსაზრებას მხარს უჭერს დევის მიერ არტაანში დადასტურებული, ”ზიარეთად” წოდებული წინარექრისტიანული ტაძრის არსებობის ფაქტი.

დევის საველე მუშაობა ეთნოგრაფიულ მეთოდსაც მოიცავდა, ის ისევე როგორც ნამდვილი ეთნოგრაფი, ყოველთვის ცდილობდა მთხრობრლთა შერჩევას და მათ გამოკითხვას. ეს ხშირად ჩანს მის ნაშრომებში, რომლებშიც ასეთი ფრაზასაც შეგვხვდებათ: ”წერაქველ მოხუცებს ახლაც კარგად ახსოვთ სიონში გადასახლება” და ა.შ.[ბერძენიშვილი დ. ნარკვევები,2005:36]

ამგვარად, დევი ბერძენიშვილის ნაშრომები ეთნოგრაფიულ თუ ეთნოლოგიურ ასპექტებსაც მოიცავს და ჩვენთვის ეთნოლოგებისათვის განსაკუთრებით ფასეულია.

არ შემიძლია არ შევეხო დევი ბერძენიშვილის პიროვნულ თვისებებს.

ერთ ზაფხულს, სამცხეში ჩვენი ექსპედიციის დროს დევის შევხვდი, ისიც ექსპედიციაში იმყოფებოდა. ეპიდემიებთან დაკავშირებით წმინდა ბარბარესა და წმინდა მარინეს ეკლესიები მაინტერესებდა. დევის მორიდებით ვთხოვე, თუ მათ შესახებ რაიმე ცნობას მიაკვლევდა, ჩაენიშნა. სექტემბრის ბოლოს ინსტიტუტში დევი ვნახე. მითხრა შენი დავალება შევასრულე და ცოტა ხანს დამელოდეო. რამდენიმე წუთში მოვიდა და კონვერტი მომაწოდა. მას თავისი დღიურები, 30 წლის ჩანაწერები (1957-1987), გადაუთვალთვალა და ჩემთვის ამონაწერები გაუკეთებია. ეს ამონაწერები ახლა

ხელთ მაქვს და სათუთად ვინახავ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას ასეთი გულისხმიერებისათვის.

ალბათ დევის პიროვნულ თვისებებს ყველაზე უკეთ ასახვს სიტყვები, რომლებსაც იგი სიკვდილის წინ, სულ რამდენიმე საათით ადრე დაწერს: ”ცხინვალში ომი დაიწყო... საწინააღმდეგო ინფორმაციებია რადიოსა და ტელევიზიაში, ღმერთო, დაიფარე ჩვენი ხალხი” [ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, 2009: 111].

ვუსურვებ ახალგაზრდებს თავისი ცხოვრების გზაზე, ბევრჯერ თუ არა, ერთხელ მაინც შეხვედნენ დევისნაირ პიროვნებას, პიროვნებას, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება მათ ცნობიერებაში, როგორც უადრესი წესიერების, პროფესიონალიზმისა და ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარულის მაგალითი.

ლიტერატურა:

ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, თბ. 2009

ბერიძე მ., გუჯეჯიანი რ., ”ზიარეთობის” ტრადიცია ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ”დიდაქარობა“ (მაისი, 2010) მასალები, 2010

ბერძენიშვილი დ., ნარკვევები, თბ., 2005

ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბ. 1979

ბერძენიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები” ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი, 1985

ბერძენიშვილი დ., ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000  
დ. ბერძენიშვილი, ი.ბანძელაძე, ე.სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, თბ., 1983  
თაყაიშვილი ექვთ., ”სამულსუმანო საქართველო” კრბ. ”დაბრუნება”, მრავალტომეული გ. შარაძის საერთო რედაქციით, I, ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაწერები, თბ., 1991

გუჯარეთი, თბ., 1987

ლკიაშვილი ა., მარანი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980

ლკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972

Март Н., Дневник поездки в Шавшию и Кларджию, წიგნში: Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского. - Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, С.-Петербург. 1904

ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971